დერივაციული სარჩელის სპეციფიკა დანაშაულის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლებში

თეონა ჩიხლაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოჩა გოგიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, 2022

განაცხადი

"როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად."[1]

თეონა ჩიხლაძე

[1] ს. ჯანაშია და სხვები, თამარ, რედ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელი წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის (თბილისი: 2011 წელი), 47. https://drive.google.com/drive/u/2/folders/1V8N3zyg-p1645nECwMIANSRSWh2kqeSo (04.07.2021.

აბსტრაქტი

ბოლო წლებში ქართულ საკორპორაციო სამართალში ძირეული ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, 2021 წელს მიღებული იქნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც სრულიად ახლებურად ჩამოყალიბდა. ამ სიახლის გათვალისწინებით, ნაშრომში გაკეთებულია კვლევა დერივაციული სარჩელის სპეციფიკაზე, მისი აღძვრის პროცედურებზე, დერივაციული სარჩელისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ურთიერთმიმართებაზე. ასევე, მოცემულია მსჯელობა ორმაგ დერივაციაზე და მის ქართულ საკორპორაციო სამართალში ინკორპორირებაზე.

დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართალწარმოება განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა, მისი ერთ-ერთი უპირატესობა მდგომარეობს მოსარჩელის არჩევანის უფლებაში, აღძრას სარჩელი როგორც საერთო სასარჩელო, ისე გამარტივებული წარმოების წესით. ეს უკანასკნელი ეფექტურია სხვადასხვა მიზეზით, განსაკუთრებით კი დროისა და მტკიცების ტვირთის შემცირების კუთხით. დერივაციული სარჩელი დაცვის მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც ასევე სპეციფიკურობით გამოირჩევა. მისი აღძვრის პროცედურები საკმაოდ კომპლექსურია, ამიტომ მნიშვნელოვანია ეს პროცესი შეძლებისდაგვარად შემსუბუქდეს და დაცვის ეს ბერკეტი ნებისმიერი აქციონერისთვის იყოს ხელმისაწვდომი. ნაშრომი ძირითადად ეთმობა სწორედ დერივაციულ სარჩელთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკითხების ანალიზს, მის განხილვას დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში, რისთვისაც კვლევის ფარგლებში გამოყენებულია: შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდი, ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდი, ემპირიული კვლევის მეთოდი.

კვლევისა და ძიების პროცესში გამოკვეთილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ დერივაციული სარჩელის გამარტივებული წარმოებით, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში აღძვრის შემთხვევაში უნდა არსებობდეს

სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლის საფუძველზეც, გამარტივებული წარმოების დროს, ხელახლა აღარ არის საჭირო მართლწინააღმდეგობის, ზიანის, მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის მტკიცება. სასამართლო ხელმძღვანელობს მხოლოდ საბოლოო განაჩენით. ზიანის მიყენების ფაქტი დადასტურებულად ითვლება და ამასთანავე, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, არ არის საჭირო „დაზარალებულად ცნობის თაობაზე" დადგენილების არსებობა. ამ წესის გათვალისწინებით, აქციონერები თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას უფრო ეფექტურად, ნაკლებ დროში შეძლებენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დერივაციული სარჩელი, დირექტორის პასუხისმგებლობა, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, გამარტივებული წარმოება.

Abstract

For the last decade, significant changes have been affected in the field of corporate law, in particular, in 2021, Georgia adopted the new Law on Entrepreneurs ("LE"), which is a positive step in Georgian corporate law. Considering this innovation, the paper focuses on the specifications of the derivative action; the procedure of initiating the latter; and the inter relationship between derivative action and compensation for damages caused by crime. In addition, the double derivative action and its incorporation in the corporate law of Georgia are presented in this paper.

The legal procedure of compensation for damages caused by crime is characterized by particular specifications, its advantages are the following: the claimant is entitled to apply to court through the summary proceedings, which shall be efficient due to the reduction of time-consume and extent of the burden of proof. Derivative action is an essential remedy, which is also characterized by its specifications. Its initiation procedure is complex therefore it is vital to make this process as easy as possible and accessible to any shareholder. The paper is mainly devoted to the analysis of ambiguous issues in connection with the derivation action, and its consideration in the context of compensation for damages caused by the crime, for which the following methods are used: comparative legal research method, historical-comparative research method, the empirical research method.

Circumstances evinced in the framework of this research, demonstrate that in the framework of the derivative action through summary proceedings and requestion compensation for damages caused by crime requires the final judgment in the criminal case. The facts established by the latter have a prejudicial significance and during the summery proceedings, there is no re-assertion of wrongdoing, damage, causation, and guilt. The court shall be guided solely by the final judgment. The fact of damage is deemed confirmed and due to the case law, it is not necessary to

have a decision on "recognition as a victim". On behalf of the latter, shareholders are entitled to satisfy their requirements more efficiently.

The basic exploratory words: Derivative action, the liability of the Director, compensation for damages caused by crime, summary proceedings.